საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ბრძანება N 124

22/11/2019 ქ.თბილისი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დადგენისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ გასაცემ წერილობით კორესპონდენციაზე ხელის მოწერის და გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში - „სამსახური") საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ამავე სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ლევან ბაიდოშვილი;
2. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გასაცემ წერილობით კორესპონდენციის ხელისმოწერისა და გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმების უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესით მიენიჭოს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ლევან ბაიდოშვილს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დადგენისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ გასაცემ წერილობით კორესპონდენციაზე ხელის მოწერის და გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" 2018 წლის 30 ივლისის სამსახურის უფროსის N170 ბრძანება;
4. დაევალოს სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჯონი შურღულაია

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი